ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

38-39 (9979) • 29 oqtomberi • 2012 w.

ალიონი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ დავით უსუფაშვილი აირჩიეს,

საქართველოს პარლამენტმა პრემიერ-მინისტრად ბიძინა ივანიშვილი დაამტკიცა.

ახალი პარლამენტი შედგა, რას ფიქრობენ დეპუტატები?

გაზეთი „ალიონი“

2012 წლის 1 ოქტომბრს დემოკრატიის დიდი გამოცდა ჩაბარა ქართველმა ხალხმა. 1990წლის უზენაესი საბჭოს არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში ახალი პოლიტიკური ძალა მოვიდა სამხედრო გადატრიალების თუ ყოველგვარი „რევოლუციის“გარეშე. ამაში დიდი როლი შეასრულა არა მარტო „ქართული ოცნების“ მიმართ დიდმა ნდობამ ამომრჩევლებში, ასევე სეართაშორისო ორგანიზაციებმა. საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა იმ პოლიტიკოსების საარჩევნო პროგრამას, რომლითაც ისინი ქვეყნის კურს სწორად წაიყვანენ ევროატლანტიკურის სივრცისკენ და ამავე დროს დაარეგულირებენ ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებს შორის.

21 ოქტომბერს ქ. ქუთაისში აშენებული ახალი პარლამენტის შუშის შენობაში საქართველოს VIII მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართა. გურიიდან ამ სხდომას გაზეთების „ალიონის“და „გურია ნიუსის“ჟურნალისტები ესწრებოდნენ. პარლამენტის პირველ სხდომას დაესწრნენ საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი, ასევე არაერთი უცხოელი მაღალი რანგის დიპლომატი და ყველა კონფესიის სასულიერო პირები.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ-ჯერობით პარლამენტის პრეს ცენტრში არ იყო ყველა პირობა ჟურნალისტების მუშაობისათვის და თავად ახალი პარლამენტის სხდომათა დარბაზშიც გახმოვანების პრობლემა იყო. როგორც სხდომის დაწყების წინ, ასევე შესვენებებზე ჟურნალისტებს საშუალება ჰქონდათ შეხვედროდნენ პარლამენტარებს, სხვა სტუმრებს. პირველი სხდომის დაწყების წინ ჟურნალისტებთან კომენტარები გააკეთეს საქართველოს პატრიარქმა ილია II-მ, ბიძინა ივანიშვილმა, დავით უსუფაშვილმა, ირაკლი ალასანიამ სხვებმა. ჟურნალისტებთან კომენტარი მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა არ ისურვა.

გაზეთი „ალიონი“ ესაუბრა რამდენიმე პარლამენტარს. საუბრის თემა არჩევნები და პარლამენტის სხდომა იყო.

▶▶▶ გვ-2

რა მოხდა ოზურგეთის სამრევლო სკოლაში?

გაზეთი „ალიონი“

წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის სამრევლო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულებაა რეგიონში და მას დღიდან დაარსებისა, 16 წელია კვირიკეთის წმინდა მოწამეთა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის წინამძღოლი, მამა მათე (გორდელაძე) უძღვება.

ამ დღეებში ქალაქში გავრცელდა ხმა, რომ მეუფე იოსები მამა მათეს სასწავლებლის ხელმძღვანელობიდან ათავისუფლებსო.

საეკლესიო თემებს ჟურნალისტები ყოველთვის სიფრთხილით ვუდგებით, რადგან ამ ბოლო პერიოდში რამდენიმე ჭორ-მართალი გავრცელდა ელექტრონული თუ სხვა მედიასაშუალებების მიერ, რომლებიც მეუფე იოსების „ნაციონალური“ ხელისუფლებისადმი სიმპატიებს ასახავდა, მაგრამ ეს „ბრალდებები“ ჩვენ არ გაგვიზიარებია.

რჯულის კანონი მარტო მორჩილებაზე არაა აგებული. იგი მხილებასაც ითხოვს და ამიტომ მიგვაჩნია, რომ „დუმილი ყოველთვის ოქრო არ არის.“ამიტომ შეძლებისდაგვარად მოვიკვლიეთ რა ხდებოდა სამრევლო სკოლაში.

ამ სკოლის ერთ-ერთი პედაგოგის თქმით, ამ ამბავმა ისინი შოკში ჩააგდო, რადგან მამა მათე ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი მაგალითია. მისი თქმით, მიზეზი ის არის, რომ მამა მათეს უმაღლესი განათლება არ ჰქონდა მიღებული.

შემდეგ მამაოს ეკლესიაში ვესტუმრეთ და ვთხოვეთ, კომენტარი გაეკეთებია მომხდარზე.

მამა მათეს თქმით, ხუთშაბათს მას მეუფემ უთხრა, რომ სკოლის დირექტორობიდან მის გათავისუფლებას აპირებდა და ამ თანამდებობაზე მამა ვასილს (გოგოტიშვილი) ნიშნავდა. მამა მათეს თქმით, იურიდიულად მეუფეს ამის უფლება ჰქონდა.

ამის შემდეგ იგი მამა იოანეს (კიკვაძე) დაუკავშირდა, რომელიც საპატრიარქოში განათლების საკითხებს კურირებდა...

საბოლოოდ, ეს ამბავი საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II გაიგო და მისი ჩარევით ყველაფერი კარგად დამთავრდა.

მამა მათე თავშეკავებულია იმის კომენტარზე, ხომ არ უკავშირდებოდა ეს ფაქტი საპარლამენტო არჩევნებს, როცა მამა მათე და კიდევ რამდენიმე მღვდელი მხარს უჭერდნენ არჩევნებში „ქართული ოცნების“ პოზიციებს.

–კი დავესწარი „ქართული ოცნების“ ლიდერებთან შეხვედრას ოზურგეთის თეატრში, იყო რაღაც მინიშნებები...

რომ ცალმხრივი არ გამოგვსლოდა წერილი, კომენტარისთვის გვინდოდა შემოქმედის ეპარქიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ხათუნა ცერცვაძეს დავკავშირებოდით, მაგრამ მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ

ღია წერილი ბატონ ალეკო მამეშვილს

ჩვენ არაერთხელ ვისაუბრეთ გაზეთ „ალიონის“ ირგვლივ არსებულ პრობლემებზე, რაც ძირითადად ხელისუფლებიდან პირდაპირ თუ ირიბ ზეწოლებში გამოიხატებოდა. ვთვლიდით, რომ საკრებულო ამ პროცესებში არ მონაწილეობდა და ამას თქვენს ზემოთ მყოფი რეგიონული ხელისუფლება ახდენდა სხვადასხვა ორგანიზაციების დახმარებით.

რომელი ერთი ჩამოვთვალო: ანგარიშის დაყადაღება კონკრეტული სტატიის გამოქვეყნებისთანავე, გაზეთისათვის პროექტის განხორციელების საშუალების არ მიცემა, ხელისუფლების ჩარევა მედიასაშუალებს შორის და მათი არათანაბარ პირობებში ჩაყენება სხვადასხვა საკითხში, მათ შორის ინფორმაციის მიღებაშიც, დისტრიბუციაში ხელშეშლა, დაშინებები და ა.შ.

წელს ბახმაროში სპეცრაზმელების მიერ გაზეთ „ალიონის“ ორი ჟურნალისტის გარკვეული დროით დაკავება ხომ ყოველგვარ ზღვარს სცილდება.

▶▶▶ გვ-2

7 დღის ამინდის პროგნოზი

29 ოქტომბერი, ორშაბათი	30 ოქტომბერი, სამშაბათი	31 ოქტომბერი, ოთხშაბათი	1 ნოემბერი, ხუთშაბათი	2 ნოემბერი, პარასკევი	3 ნოემბერი, შაბათი	4 ნოემბერი, კვირა
მზე, +17+27	მზე, ღრუბელი +16+28	წვიმა +13+23	ძლიერი წვიმა +14+24	წვიმა +16+24	მზე, 17+24	წვიმა +14+21

ახალი პარლამენტი შედგა, რას ფიქრობენ დეპუტატები?

ზვიად კვაჭანტირაძე, *საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე:*

–დღეს ავირჩიეთ პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი დავით უსუფაშვილი. მოადგილეები და კომიტეტების თავმჯდომარეები.

–შედგება თუ არა „ქართული ოცნების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ თანამშრომლობა პარლამენტში?

– ამ თანამშრომლობას ვერ ავცდებით...

–თანამშრომლობა აუცილებელია, მაგრამ პარალელურად მოხდება თუ არა „ნაციონალების“ გარკ-ვეული წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულებების გამოძიება?

–შეიქმნება ამ კუთხით დროებითი საგამოძიებო კომისიები, რომლებიც ჩაატარდებს სხვადასხვა საგამოძიებო პროცედურებს. ეს კომისიები ამ თემაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობის სკითხს დააყენებენ. საჭიროების შემთხვევაში მოკვლეული მასალები გადაეცემათ საგამომძიებლო ორგანოებს, პროკურატურას.

–როგორ განვითარდება ოზურგეთში საკადრო ცვლილებები?

–მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო, მე არ ვაპირებ ოზურგეთში საკადრო ცვლილებებში მონაწილეობას მხოლოდ ჩემი კომპენტენციის ფარგლებში ჩავერევი. ვიცი, მივრცელებენ ხმებს, თითქოს მე ამ თემაზე ხალხს სახლშიც კი ვიბარებდი, რაც სიცრუეს შეესაბამება..

–მაინც, რა ფორმატში აპირებ ოზურგეთთან ურთიერთობას?

–ყველა მუნიციპალიტეტში არის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროები და დეპუატატს კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობები აქვს. მე უდიდესი სიყვარულით და პასუხისმგებლობის გრძნობით ვარ გამსჭვალული ოზურგეთელი ამომრჩევლების წინაშე, რომლებმაც ნდობის მანდატი მომცეს პარლამენტში. აქედან გამომდინარე, მე პარლამენტში მხოლოდ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში ვაპირებ მუშაობას, რათა მეტი დრო დამრჩეს ჩემს ამომრჩევლებთან შესახვედრად, მათი პრობლემების მოსასმენად და გადასაწყვეტად.

ვიქტორ დოლიძე, *საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, „თავისუფალი დემოკრატები“:*

–მე ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი სამშობლოსთვის, მისი თითოეული მოქალაქისათვის არის ისტორიული დღე, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ შეძლო ხელისუფლების ტრანსფორმაცია მშვიდობიანი, კონტრუქციული და ცივილური გზით. ეს არის უდიდესი ნაბიჯი ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებისა და გაჯანსაღებისათვის, ისე ევროატლანტიკური სივრცისაკენ სწრაფვისაკენ.

–როგორ შეაფასებდით მიხეილ სააკაშვილის განცხადებას თანამშრომლობის შესახებ?

–თუკი მისი განცხადება თანამშრომლობის შესახებ გულწრფელია, მივესალმები, მაგრამ საფუძველი მაქვს, ეჭვი შევიტანო მისი განცხადების გულწრფელობაში, რადგან მისი ასეთი განცხადებები ბევრი მინახავს. თუკი „ნაციონალური მოძრაობა“ გარდაისახება და მზად იქნება საკვანძო საკითხებში კონსტრუქციული თანამშრომლობისათვის, ჩვენ მზად ვართ ამისათვის.

თემურ ჩხაიძე, *საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიდან:*

–ბატონო თემურ, ჩვენი შეხვედრა გავიხსენოთ, 2012 წლის 19 აგვისტოს, ზღვის დონიდან 2050 მეტრზე, კურორტ ბახმაროს შესასვლელში, როდესაც „ქართული ოცნების“ ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რამდენიმე ათეულ აქტივისტს 300-მდე პოლიციელი და სპეცრაზმელი არ აძლევდა გადაადგილების საშუალებას..

–ამის მოწმე თქვენი გაზეთი თავად იყო. სააკაშვილის ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს იყო გადასული პოლიტიკურ ოპონენტებთან ურთიერთობაში. ასეთმა დამოკიდებულებებმა მათ არჩევნებში დამარცხება მოუტანა.

–ახლა როგორია თქვენი განწყობა პარლამენტის პირველი სხდომის შემდეგ?

–ნორმალური. განსაკუთრებით მომეწონა ბატონ ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა. „ქართული ოცნება“ ნაბიჯ-ნაბიჯ შეასრულებს დანაპირებს. ქართველი ხალხი 70 წელი კომუნისტური რეჟიმის პირობებში ცხოვრობდა, შემდეგ 20 წელი უკეთესი ცხოვრების მოლოდინით კვებავდნენ. ადამიანებს უხდებოდათ ყოველდღიური ბრძოლა თავისა და ოჯახის გადასარჩენად. ვფიქრობ, ადამიანებმა უპირველესად სწორი ცხოვრების წესის დამკვიდრება უნდა შეძლონ. ამაში მათ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს.

–როგორ ფიქრობთ, ვინც ადამიანები ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, პასუხი უნდა მოეთხოვოთ?

–თუკი არ მოხდა ყოველივე ამის შეფასება და დამნაშავეების დასჯა, ჩვენ მომავალი პარლამენტის არჩევნების შემდეგაც ამ თემაზე კვლავ მოგვიწევს საუბარი.

თემურ ჭკუასელი, *საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან:*

– ძალიან მიხარია, რომ ქართველმა ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა და ბოლოსდაბოლოს ამდენი ბრძოლის შემდეგ პარლამეტში მოვიდა უმრავლესობით ის ჯანსაღი ძალა, რომელიც ქვეყანას უკეთესი კურსით წაიყვანს. ეს უპირველესად ბატონ ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა და მიხარია, რომ ამ პროცესების მონაწილე მეც ვარ.

დავით ბერძენიშვილი, *საქართველოს პარლამენტის წევრი, რესპუბლიკური პარტია:*

–პარლამენტის პირველი სხდომა გეგმის მიხედვით წარიმართა. ავირჩიეთ პარლამენტის თავმჯდომარე, ვიცე-სპიკერები, კომიტეტების თავმჯდომარეები. ჩვენ ყველა დასახელებული კანდიდატის კენჭისყრაში მივიღეთ მონაწილეობა. უმცირესობამ მხოლოდ მათგან დასახელებული ვიცე-სპიკერის არჩევნებში. პარლამენტის დარბაზში პრობლემები არ ყოფილა, ჩვენს პოლიტუკურ ოპონენტებთან ცხარე დებატები პარლამენტის და საპარლამენტო კომიტეტების სხდომებზე გველის.

დამთავრდა პარლამენტის პირველი დღე. შენობიდან გამოსულ „ნაციონალების“ წარმომადგენლებს იქ მყოფი მოქალაქეებისაგან მწვავე შეკითხვების და რეპლიკების მოსმენა მოუწიათ. თუმცა პარლამენტარების უმრავლესობა მოუგვარებელ საყოფაცხოვრებო პრობლემებზე უფრო წუხდნენ.

საღამოს ჩვენ მიერ „აღმოჩენილ“ „მაკდონალსში“ ჭიქა ჩაის დასალევად პარლამენტარები ლევან ბერძენიშვილი და პაატა ზაქარეიშვილიც შემოვიდნენ.

ღია წერილი ბატონ ალეკო მამეშვილს

საკრებულო ასე თუ ისე, რაღაც თანაგრძნობას გვიწევდა. შარშან გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გაზეთის ისტორიის ელექტრონული ვერსიის შესაქმნელად ტექნიკის შეძენას დაუჭირეთ მხარი. მაგრამ გაზეთმა 2005 წლის ხანძრის შემდეგ ვერ შეძლო საბინაო პრობლემის კანონის შესაბამისად მოგვარება. ჩვენს თხოვნას საბინაო პირობების მოგვარების შესახებ ტაბუ დაედო. შარშან მაისში, სოფ. გოგიეთში გზის გახსნისას ჩამოსულ რეგიონული მართვისა და ინფრასტრუქტურის მაშინდელ მინისტრს რამაზ ნიკოლაიშვილს წერილობით ვთხოვე მის გუნდს თავი დაენებებინა ჩვენი გაზეთის შევიწროებისათვის, მაგრამ რა.. „ალიონის“შევიწროება კიდევ უფრო გაძლიერდა.

ამ არჩევნებმა დაგვანახვა, რომ მაკიაველიზმი გახდა ქართული პოლიტიკის ქვაკუთხედი, ქვეყანას უფსკრულში გადაჩეხვა ელოდა. მოსახლეობის სწორ ინფორმირებაში თავისი წვლილი თავისუფალმა მედიასაშუალებმაც გაიღეს. რეალობა შეიცვალა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების აზროვნება არა!

გაზეთ „ალიონს“მუნიციპალიტეტი კვლავ პრობლემებს უქმნის საჯარო ინფორმაციის მიღებისას. გაზეთის მიერ საკუთარი რესურსით გარემონტებულ საბინაო ფართის უზურფრუქტით გადმოცემის თხოვნაზე პასუხს არ გვცემთ.

საქართველოს რეგიონებში შემორჩენილი ერთ-ერთი უძველესი გაზეთი, რომელმაც მალე მე-10000 ნომერი უნდა გამოსცეს, ასეთ დამოკიდებულებას არ იმსახურებს.

შეიძლება იკითხოთ, ილია ჭავჭავაძის ერთი გმირივით: „მე რა შუაშია ვარო!“ მაგრამ ნამდვილად არ მაქვს სურვილი ამ თემაზე იმ ადამიანებს ვესაუბრო, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ მთავარ შტაბს ხელმძღვანელობდნენ და ახლა „გამარჯვებულების“რანგში თანამშრომლებს პრემიის სახით ათასობით ლარს ურიგებენ „დამსახურებისათვის!“

ნუგზარ ასათიანი,
გაზეთ „ალიონის“რედაქტორი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის თემურ სალუქვაძის მიმართვა საზოგადოებას

პირველ რიგში საზოგადოებას ვულოცავ ხალხის მიერ არჩეული პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებას.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე, როგორც საკრებულოს დეპუტატი მუდმივ კავშირში ვარ საზოგადოებასთან და ვცდილობ მუდმივად მოსახლეობა საქმის კურსში ჩავაყენო მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. დღეს მიზანშეწონილად მიმაჩნია მოსახლეობის ყურადღება გავამახვილო ორ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე და გავუზიარო მათ ჩემი მოსაზრებები.

შევახსენებ საზოგადოებას: საკრებულოები, რომელებიც 2010 წელს იქნა არჩეული ძირითადად შედგება ნაციონალური მოძრაობის წევრებისა ან მისი მხარდამჭერებისაგან. ასეთ ფონზე წლების განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მხოლოდ ორი წევრი - მე, როგორც კოალიცია "ქართულ ოცნებაში", შემავალი ერთ-ერთი სუბიექტის "თავისუფალი დემოკრატების" წარმომადგენელი და ქალბატონი ლელა ნაცვალაძე წარმოვადგენდით ოპოზიციურ ფლანგს.

აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოება მაქსიმალურად ჩაერთოს საკრებულოს მიერ გადაწყვეტილებების მიღებაში და კონტროლი განახორციელეოს ამ გადაწყვეტილებების შესრულებაზე. ამ დროისათვის დღის წესრიგში დგას უმნიშვნელოვანესი საკითხი: იწყება 2013 წლის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვა. საზოგადოებას, სპეციალისტებს, არასმათავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ძალებს, მედიასაშუალებებს ვთხოვ აქტიურად ჩაერთონ ბიუჯეტის ფორმირებისა და განხილვის პროცესში.

გაცნობებთ, რომ კანონმდებლობით ყველას აქვს უფლება მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ მონაწილეობა საკრებულოს კომისიების მუშაობაში. მე, როგორც საკრებულოს წევრი, ამ კუთხით გავდივარ გარკვეულ კონსულტაციებს. ბიუჯეტის ფორმირების საკითხში ჩემთან ერთად აქტიურად ჩართულია, საბიუჯეტო და ფინანსური საკითხების სპეციალისტი ბატონი დიმიტრი კვერღელიძე, რომელიც გარდა იმისა რომ არის ჩვენი თანამებრძოლი, ასევე გამოირჩევა თავისი პროფესიონალიზმით. აუცილებელია საზოგადოების მხრიდან საკრებულოს მუშაობის კონტროლი, რათა არ დავუშვათ საზოგადოებისათვის მიუღებელი გადაწყვეტილებების მიღება.

ასევე მინდა მოსახლეობას მივაწოდო ჩემი მოსაზრება საკრებულოში კოალიციის ახალი ფრაქციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რასაც ბოლო პერიოდში ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. თავად მე არჩევნებამდეც მქონდა გარკვეული კონსულტაციები იმ საკრებულოს წევრებთან, რომლებიც ჩემის აზრით გამოირჩევიან თავისი პროფესიონალიზმით, პატიოსნებითა და ავტორიტეტით. ეს კონსულტაციები ჩემის მხრივ დღესაც მიმდინარეობს. მაგრამ საკითხის მნიშვნელობიდან და საკრებულოს შემადგენლობის რეალური მოცემუ-

გვ-5

„ერთად მოვუაროთ საქართველოს“

გურიაში, ისევე როგორც დანარჩენ საქართველოში არაერთი ობიექტი გადაეცა ჩალის ფასად ქართველ თუ უცხოელ „ინვესტორებს.“ სახელმწიფოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში „კეკლუცობდა“ მუხლი ადგილობრივი მუშა ხელის დასაქმების შესახებ, თუმცა შემდეგ ეს ხელშეკრულებები ფარატინა ქაღალდად იქცეოდა და დასაქმებას ვინღა ამბობს, უმეტეს შემთხვევაში საწარმო აღარ ფუნქციონირებდა, ან ჯართად იჭრებოდა და იყიდებოდა.

ორი წელია ოზურგეთის ექსპერიმენტული მანქანათმშენებელი ქარხანა ინდოელ ინვესტორს მიჰყიდეს, მაგრამ ჯერ-ჯერობით აქაც სასიკეთო ძვრები არ დაწყებულა. პირიქით, ამ ქარხნის კვალიფიციური მუშახელი უმუშევართა დიდ არმიას შეუერთდა. ამ დღეებში გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში ამ ქარხნის ყველაზე სტაჟიანი და დამსახურებული პიროვნება მერაბ ზაქარიაძე მოვიდა და თავისი გულისტკივილი წერილობით გადმოგვცა:

„არ მინდოდა ეს წერილი მოულოდნელი ყოფილიყო იმ ადამიანებისათვის, ვინც კავშირშია იმასთან, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამიტომ, წინასწარ გავაფრთხილე ისინი, მოსალოდნელი სტატიის შესახებ: შპს „მანსაროვარის“ დირექტორი ქ-ნი თამარ თავაძე და შპს „ოზურგეთის მძიმე დანადგარების“ დირექტორი, ბატონი რამაზ მახარაძე. ამ უკანასკნელმა იმედი გამოთქვა, რომ ვიქნებოდი ობიექტური, ხოლო ქლბატონმა თამარმა გაკვირვებით მკითხა:—„რა უფლება გაქვს ჩემზე წერილი გამოაქვეყნოო...“ (?!)

ამით დავიწყებ. მოკლედ ვიტყვი ვინა ვარ და რატომ შემტკივა გული ოზურგეთის ყოფილ ექსპერიმენტულ მანქანამშენებელ ქარხანაზე, რომლის ადგილზეც ზემოთ დასახელებული შპს-ები ფუნქციონირებენ.

პროფესიით მანქანათმშენებელი ინჟინერი ვარ და ჩემი შრომითი სტაჟიდან, რომელიც 3 ათეული წელს აღემატება, უმეტესი დრო სწორედ ამ ქარხანაში მიმუშავია და აქ მაქვს გატარებული.

1980 წლის ივლისში, როცა თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანაში მუშაობის შემდეგ, მშობლიურ რაიონში დაბრუნდი და მუშაობა ანასეულის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მექანიზაციის განყოფილებაში გავაგრძელე, სწორედ ამ ქარხნის კომპლექტაციის საქმე ჩამბარეს, რომლის მშენებლობაც სულ ახალი დაწყებული გახლდათ. ერთი წლის შემდეგ, 1981 წლის აგვისტოში შეიქნა მშენებარე ქარხის დირექცია. დირექტორად დაინიშნა აწ გარდაცვლილი ბ-ნი თენგიზ ბერიშვილი. დირექციის 5-კაციან ჯგუფში შედიოდნენ: თენგიზ ცეცხლაძე, ალექსანდრე ასათიანი, ჯუმბერ ლომაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

სწორედ ამ პატარა ჯგუფის დამსახურება გახლდათ ის, რომ ქარხანა მთლიანად წარმატებით დაკომპლექტდა და 1985 წლის 1 იანვარს გავიდა ექსპლოატაციაში. ამ დროისათვის ქარხანა 130-ზე მეტ ტექნიკურ დანადგარს ითვლიდა. მათ შორის რამდენიმე უნიკალუს ჩარხს— უნივერსალურ სახარატო, სახარატო-რევოლვერულ, კარუსელურ, საღარავ, კბილსაფრეზ, სარანდ, საბურღ, შიგნაჩარხ ჩარხებს. რამდენიმე ჩარხის ღირებულება ხუთნულიან ციფრს შეადგენდა მაშინდელ საბჭოურ რუბლში. ერთ-ერთი უნიკალური იყო 12,5 ტ. ტვირთამწეობის ჯოჯგინა ამწე-კრანი, რომლის რკინიგზის სადგურიდან ქარხანაში გადმოტანისას, მილიციას მთელი ტრასის გადაკეტვა მოუხდა. ასევე იყო 2 ცალი 10 ტ. ტვირთამწეობის ხიდურა ამწეები, თერმული საამქროს დანადგარები, საქაბე „დკბრ-9“ქვაბით და ა.შ.

ქარხანას გააჩნდა: მოსამზადებელი, საჩამომსხმელო, მექანიკური, საამწყობო, თერმული, ინსტრუმენტული, სარემონტო და ხის დამამუშავებელი საამქროები. უბრალო მკითხველისთვისაც კი გასაგები იქნება, მით უმეტეს სპეციალისტებისთვის, ეს არ იყო მცირე ობიექტი არა მარტო ჩვენი რეგიონისთვის. მაშინ, როცა ჯერ კიდევ ყველანი სსრკ-ში ვცხოვრობდით, აქ 120-მდე ადამიანი მუშაობდა. მე სხვადასხვა დროს გახლდით: ამ ქარხნის, ჯერ მშენებარეს, შემდეგ კი უკვე მოქმედის მთ. ტექნოლოგი, ტექნიკური განყოფილების უფროსი, I კატეგორიის ინჟინერ-კონსტრუქტორი. ამდენად შემიძლია, არა ყურმოკვრით, არამედ ზუსტად მოგახსენოთ, წლების განმავლობაში როგორ მუშაობდა და რას აკეთებდა ეს საწარმო.

საბჭოთა კავშირის დროს ქარხანა შედიოდა ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო გაერთიანებაში. აქედან გამომდინარე იყო ქარხანა ექსპერიმენტული და აქ ბევრი ახალი დანადგარი დამზადდა, რომელნიც სათაო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების მიერ იყო შექმნილი. გარდა ამისა ქარხანა თავისი დანიშნულებით ემსახურებოდა არა მარტო რეგიონის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ჩაის ფაბრიკებს. ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო ქარხანამ ჩაის მიკრო ფაბრიკებისთვის დანადგარების დამზადებაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და განსაკუთებით სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში ქარხანასაც გაუჭირდა არსებობა. ჩაის მრეწველობის ფაქტიურად გაჩერებამ, რუსეთის გასაღების ბაზრის დაკარგვამ, ჩაის ფაბრიკების გაჩანაგებამ თავისი კვალი დასვა ამ ქარხანას. დამკვეთის არ არსებობის გამო ფაქტიურად ისიც გაჩერდა. თანამშრომლების უმრავლესობა საერთოდ დაითხოვეს მას შემდეგ, რაც კარგა ხანს უხელფასოდ ატარეს სამსახურში. ზოგიც, მათ შორის მეც, განუსაზღვრელი დროით უფასო შვებულებაში გაგვამწესეს.

თუმცა ქარხნის დირექტორის საქებრად უნდა ითქვას, რომ მისი და სამუშაოზე დარჩენილი 4-5 კაცის დამსახურებით, ქარხანას არ გაუზიარებია უმრავლესობა ჩაის ფაბრიკის ბედი, რომელთა ადგილზე დღეს ერთი აგურიც არ არის. ქარხან არ გაძარცვულა და შეინარჩუნა ძირითადი ტექნიკური დანადგარები. შემიძლია ვუთანაგრძო ბატონ რამაზს, შეუნარჩუნა დანადგარები რა, ბოლო ჯაჭში ინდოელ „ინვესტორებს,“ რომ შემდეგ იმათ დაეშალათ ისინი, ჯართში ჩაებარებიათ და ფული ჯიბეში ჩაედოთ!

ასე გამოიყურება ოზურგეთის მანქანათმშენებლობის ქარხნის მთავარი საამქრო

ბ-ნი რამაზის დამსახურებაა ისიც, რომ მოახერხა, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, ლენქორანის მხარესათან დაკავშირება, სადაც ჩაი ხარობს და რამდენიმე ჩაის ფაბრიკა სრული დატვირთვით მუშაობს. რამდენიმე წლის განმავლობაში სწორედ მათი დაკვეთებით სულდგმულობა ჩვენი ქარხანა. ვერ ვიტყვი, რომ ჩაის დანადგარები, რომლებსაც ქარხანა მათ აწვდიდა, ტექნიკის საოცრებებს წარმოადგენდა, მაგრამ ცუდიც არ ყოფილა, თორემ ისინი დოლარებს ნამდვილად არ გადაგვიხდიდნენ. სამწუხაროდ, მათ არ შეეძლოთ ჩვენი სამუშაოთ მუდმივი უზრუნველყოფა. მაშ შემდეგ, რაც მათი მოთხოვნები ამოიწურა, ქარხანა ისევ გაჩერდა.

აზერბაიჯანისა და თურქეთისაგან განსხვავებით, სადაც ამ ბოლო დროს ჩაის ბუმია, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას და მმართველ პარტიას არც ჩაის ფაბრიკა სჭირდებოდა და არც ქარხანა. სამაგიეროდ ძალიან მარჯვენი იყვნენ სხვების შექმნილისა და ნამუშევრის გასხვისებასა და „ნიორნაქურჩელად“ გაყიდვაში.

ამის ტიპიური მაგალითია ოზურგეთის მანქანათმშენებელი ქარხანა. ის 2010 წლის აგვისტოში 125 000 ლარად „მიჰყიდეს,“ უფრო სწორედ აჩუქეს ინდოელ ე.წ. „ინვესტორებს. “დიახ, ზუსტად ასე: 3 ჰექტარი მიწა, უზარმაზარი საწარმოს კორპუსი, თავისი დანადგარებით. (მართალია მათ შორის ბევრი არც მუშაობდა, მაგრამ ინდოელ „ინვესტორებს“ ეს დიდად არც აინტერესებდათ).

შეიძლება ვინმემ გაიცინოს კიდეც, ეს რა გასაკვირია, როცა „ნაციონალური“ მთავრობა ქვეყნის ამა თუ იმ ქონებას სიმბოლურ (ერთი ლარში) ურიგებდა მავანთ და მავანთ. არც მიკვირს, უბრალოდ, გული მტკივა, იმაზე, რის აშენებაშიც მეც მიმიძღვის წვლილი.

რა მდგომარეობაშია დღეს ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხანა? გაამართლა თუ არა ინვესტორმა ჩვენი იმედები? ამას მკითხველო მოგახსენებთ და დასკვნა თავად გამოიტანეთ.

დასაწყისი თითქოს მართლაც იმედისმომცემი იყო. ქარხანა ხელახლა ამუშავდა და 2011 წელს დაახლოებით 7 თვე, ასე თუ ისე, მოქმედებდა. გამოგვიძახეს უფასო შვებულებაში მყოფი თანამშრომლებიც.

ათვისებული იქნა გრენაჟორების გამოშვება (როგორ და რანაირად, ეს ცალკე თემაა). ყურადღებას გვაქცევდა სახელმწიფო რწმუნებული სამსახურიც. საქმის კურირება დაევალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბ-ნ გია ტაკიძეს. 2011 წლის ბოლოს „რუსთავი-2“-ზე გავიდა სპეციალური გადაცემა აკაკი გოგიჩაიშვილის „ბიზნეს-კურიერში.“

მაგრამ, მას შემდეგ, რაც 2011 წლის აგვისტოს დასაწყისში გია ტაკიძე დააპატიმრეს, ქარხანა გაჩერდა. ინდოელ მეპატრონეებს თავი არ შეუწუხებიათ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების, ქარხნის პროფილის შენარჩუნებაზე ყველანაირ ხელშეწყობას, რომ ქარხანას ემუშავა. მათ თითიც კი არ გაუნძრევიათ ამისათვის, პირიქით, ისინი ექსპლოატაციასაც კი უწევდნენ შპს „მძიმე დანადგარებს.“

შპს „მანსაროვის“ მენეჯერი პავანბაბ სინგ დალივა და შპს „ჯეოს“ დირექტორი ამანპრიტ სინგ გპალლა პენჯაბი ქარხნის პლასმასის მწარმოებელ დანადგართან.

სამაგიეროდ, შპს „მანსაროვმა“ ჩამოიყვანა ინდოეთიდან თანამემამულენი და დაიწყეს ჩარხების დაშლა და მისი რეალიზაცია.

შეიძლება ითქვას, რომ მათ არა მარტო ამოიღეს ის თანხა, რაც ქარხნის შეძენისას გადაიხადეს, არამედ ადმინისტრაციული შენობაც გადახურეს და იქ „ყაზარმა“ მოაწყვეს. როგორც ჩემი მეგობრები ამბობენ, ინდოელები აპირებენ ინდოეთიდან თავიანთი თანამემამულეების ჩამოყვანას და ამ „ყაზარმაში“ მოთავსებას.

რაც შეეხება მანქანათმშენებელ პროფილის, დღეისთვის მისი ჩარხების პარკი მექანიკურ უბანზეა ლოკალიზებული (15 ერთეული). მას დამატებული აქვს ყოფილი საწყობის ოთახი. საამწყობრო უბანი ერთი ელექტო ხერხისა და ერთი შედუღების აპარატის ამარა დარჩენილი. მთელი ქარხნიდან დარჩა ერთი უბანი და ისიც არ მუშაობს. დანარჩენი კორპუსი გამოცარიელებულია და იქ ვერაფერს ვერ ნახავ.

ხის დამამუშავებელ საამქროში შეტანილია რამდენიმე ერთეული პლასმასის დასამუშავებელი დანადგარი და როგორც ქალბატონმა თამარმა განაცხადა, მალე გამოიძახებენ მუშებს და დაიწყება პლასტმასის დამუშავება.

ამ დროისათვის ქარხანაში მუშაობს ადგილობრივი ერთი მუშა ნოდარ ვაშაყმაძე და თავად დირექტორი, ქ-ნი თამარი, ასევე 5 ინდოელი მუშა, მაშინ, როცა შარშან გამოაკრეს განცხადება, რომ ესაჭიროებოდათ მუშახელი. ერთი საერთო რვეული გაავსეს სამუშაოს მაძიებელთა სახელებითა და გვარებით.

როცა ვეუბნებოდი ადგილობრივ ხელმძღვანელს, რატომ ატყუებთ ადამიანებს-მეთქი, მპასუხობდნენ: —ასეთია ინდოელების მითითებაო (?!)

პლასტმასის წარმოებას რომ მავნე გამონაბოლქვი აქვს და იგი საშიშია როგორც იმ ადამიანებისთვის, ვინც ამ დანადგარებთან იმუშავებენ, ისე ქარხნის ახლოს მცხოვრები მოსახლეობისათვის, ამაზე იმედია საქართველოს „მწვანეები“ დაინტერესდებიან და ისინი დადებენ კომპენტეტურ დასკვნას.

მას შემდეგ, რაც შარშან ოქტომბერში ქარხანა გაჩერდა, არც გუბერნატორის სამსახურს და ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არ უკითხავს ინდოელებისთვის, თუ რატომ არ ასრულებენ ისინი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს(?!

იქნებ ვინმემ ქსენოფობიაში დამდოს ბრალი. ვუპასუხებ, ინდოეთში ან სხვა ქვეყანაში მოგყიდის ვინმე ჩალის ფასად ასეთ ქონებას და შემდეგ მოგცემს უფლებას, თავის მოქალაქეებზე მეტი უცხოელის დასაქმების?

იქნებ ახალი ხელისუფლება დაინტერესდეს რა ხდება ქარხანაში და პასუხი მოსთხოვოს „შინაურსაც“ და „ 9 მთას იქედან მოსულსაც.“

იკვეთება თუ არა დანაშაულის ნიშნები, ამაზე ალბათ იურისტებმა უნდა გასცენ პასუხი. მე კი მოვუწოდებ რეგიონის და რაიონის არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, ყურადღება მიაქციონ ამ თემას. ერთად მოვუაროთ საქართველოს!“

მერაბ ზაქარიაძე

ბუნებისადმი ვანდალურმა დამოკიდებულებამ სავალალო შედეგი გამოიღო

გაზეთი „ალიონი“

ოქტომბრის დასაწყისში მორიგი წყალდიდობის შემდეგ სოფ. მერიის ტერიტორიაზე მდინარე ნატანებზე ლაითური-მერიას დამაკავშირებელი ნ-მალიანი ხიდი ჩაიწია და მასზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა. ამ ხიდის დაზიანებამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა ოზურგეთიდან სამხრეთ დასავლეთით მოძრავ ავტოტრანსპორტს და იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ხიდით სარგებლობდა.

ბუნებისადმი არასწორი დამოკიდებულებით ხსნით ამ ფაქტს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მერიის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული ვაჟა ჩანჩიბაძე.



– ახლახან ერთმალიანი ხიდი გავხსენით მდ. მერიაზე. იგი დაახლოებით 0, 5 მილიონი ლარი დაჯდა. ამის ფონზე ხომ წარმოსადგენია, რამხელა ზარალი მიადგა სახელმწიფოს. ფაქტიურად ხიდის მე-3 და მე-4 მალა ჩაწეულია. ხიდის ორი ბურჯი ხელახლაა გასაკეთებელი. ჩემი აზრით, ეს მდინარე ნატანების აუზში ქვიშის კარიერების არასწორმა ექსპლოატაციამ გამოიწვია. არჩევნების წინა პერიოდში ხიდის ქვემოთ, 200-ოდე მეტრში რამდენიმე ექსკავატორი იდგა და ქვიშას იღებდა.

გურამ ბერძენიშვილი, *ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი ბუნებრივი რესურსების სარგებლობის საკითხებში:*

– „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოსული ხელისუფლება ყოველდღიურ შრომას არ აკლებს მოსახლეობის მახსოვრობიდან ამოშალოს ე.წ. საბჭოური გადმონაშთები, რისთვისაც მობილიზებულია მასმედია; მზადდება სათანადო გადაცემები, მაგრამ ეს ყველა ღონისძიება თეორიული ხასიათისაა, რადგან თვით ხელისუფლება არ გათავისუფლებულა იმ „ჭირისაგან", რომლისაგან მოსახლეობის მორჩენას ცდილობს. ესაა ობიექტის ვადაზე ადრე ჩაბარება, გეგმების შესრულებისაკენ მისწრაფება და სხვა. ქვეყანაში მიმდინარე ნებისმიერი მშენებლობა სახელმწიფო მნიშვნელობის სტატუსს იძენს, დგება ობიექტის ვადამდე ჩაბარების გეგმები და დამთავრებული ობიექტის გახსნასა და პიარს „შემოქმედების გვირგვინს" როგოც წესი მთავრობა ადგამს თავს (მაშტაბები შეიცვალა დევიზის - „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“). ქვეყანაში მიმდინარე საინჟინრო-ტექნიკური, კომუნალური მომსახურების, საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობის (ერთი სიტყვით ინფრასტრუქტურის) მაშტაბები მართლაც უდავოდ დიდია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი მოსასწრებია, თითქოს უკან ვინმე მოგვსდევდეს და ყველაფერი უნდა ვიღონოთ „გეგმა" არ ჩავარდეს. ასეთ ტემპებს ბუნებრია ესაჭიროება რესურსებით უზრუნველყოფა. შენებასთან ერთად დაიწყო შეტევა ბუნებრივ რესურსებზე. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის მოტივით დაიწყო ქვიშა-ხრეშის, ხე-ტყის მოპოვება ნებადართულ თუ უნებართვო მეთოდებით. რაიონის მდინარეებს კალიებივით შეესია ლიცენზიით „ხელდამშვენებული" ბიზნესმენები. თავი წამოყო ქართულ მენტალიტეტის უარყოფითმა მხარემ - „სახლი თუ იწვება ხელს მაინც გავითბობ" პრინციპით ქვიშა ხრეშის მოპოვება დაიწყო იმ ადგილებშიც კი რომლებიც საბჭოურ პერიოდშიც კი აკრძალული იყო. ქართველების წამხედვარე ჩინელმა და თურქმა მშენებლებმა ის ელემენტარული წესებიც კი უგულველყვეს, რომელთა დაცვაც გამორიცხავდა ტრანსპორტის სარისკო გადატვირთვას, სარკინიგზო გადასასვლელების დაზიანებასა და საგზაო მაგისტრალების დანაგვიანებასა და განადგურებას.

ტენდერში გამარჯვებული ჩინური თუ თურქული კომპანიისათვის ქვეყანაში მიმდინარე მშენებლობა. ეს მხოლოდ ფულის გაკეთების საშუალებაა, მაგრამ ქართველისათვის ეს ხომ სამშობლოში მიმდინარე ცვლილებებია, რომლის დადებითი თუ უარყოფითი შედეგებით შვილების, შვილისშვილების ცხოვრებაზე აისახება და მიუხედავად ამისა ოზურგეთის მდინარეებიდან მიმდინარეობს ქვიშა-ხრეშის შეუზღუდავი მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს ლიცენზიით განსაზღვრულ პირობებს. სპეციალისტთა გათვლით, ავტობანის მხოლოდ ურეკი-ქობულეთის მონაკვეთისათვის საჭიროა 1,2 მლნ მ3 ქვიშა-ხრეში, ამას ემატება ის გრანდიოზული მშენებლობა, რაც საკონცერტო ცენტრის მშენებლობას ხმარდება და არაა გამორიცხული ქობულეთი-ჩაქვის მონაკვეთიც სოფლების გურიანთის, მერიის და ლიხაურიდან აღებული ქვიშა-ხრეშით აშენდეს. წიაღისეულის ასეთი მოპოვებით გამოწვეული უარყოფითი შედეგები, დღეს, უკვე სახეზეა; გურიანთა-მერიის გზის ასფალტის საფარის ზედაპირის ცვლილება (ტალღური ფორმა საფარის უთანაბრო დატკეპნის გამო), მდინარე ნატანების კალაპოტის ცვლილება და მოსახლეობისაგან საყანე ფართობების მიტაცება, მდინარეზე არსებული ხიდის ბურჯების გაშიშვლება და მისი მწყობრიდან გამოსვლა. ეს ის არასრული ჩამონათვალია, რაც თვალნათლივ იკვეთება.

სალიცენზიო ობიექტის უბნები საავტომობილო ხიდიდან, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზეა, დაშორებულია ისეთი მანძილებით, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს „საავტომობილო გზების შესახებ", რომლის თანახმად (მუხლი 22, პუნქტი 1. ქვეპუნქტი „ვ") აკრძალულია ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ;

<u>მდინარე იცვლის კალაპოტს, იტაცებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს; ასე მაგალითად: სპოტიეთის უბანში, ბოხვაურის მიწების მოსაზღვრედ მიტაცებულია 3 ჰა ფართობი, ხოლო ორაფო-მერიის მიწებიდან 1,8 ჰა. მიწის მფლობელებს დღეს ხელთ უპყრიათ მხოლოდ მიწის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობები, უკვე არ არსებულ მიწაზე.</u>

წიაღისეულის მოპოვების მაშტაბები იმდენად დიდია, რომ მდინარეს ნატანით მისი შევსებისათვის ათწლეული დასჭირდება, ხოლო ამ ხნის მონაკვეთში მნიშვნელოვან ცვლილებას მიიღებს ზღვის სანაპირო ზოლი და შესაძლებელია მის მიერ მიტაცებულ იქნას ნაპირის მნიშვნელოვანი ნაწილი. უხვი ნალექების პირობებში, მდინარეთა ადიდებისას საფრთხის ქვეშ დადგა ის ხიდები, რომლების გაშიშვლებული ბურჯებით დგანან. პერმანენტულ ხასიათს მიიღებს მდინარის მიერ მიმდებარე ნაკვეთების მიტაცების პროცესიც.

ყოველ დიდ მშენებლობას, ნებით თუ უნებლიეთ, თან სდევს გარემოს ცვლილება, მაგრამ ცვლილების მასშტაბები იმაზეა დამოკიდებული, თუ მშენებლობისადმი როგორია სახელმწიფოებრივი მიდგომა (და არა ობიექტზე სახელმწიფო მნიშვნე-ლობის სტატუსის მინიჭებიდან გამომდინარე), რამდენადაა გააზრებული ის მოსალოდნელი ცლილებები, რომლებიც ბუნებაში ადამიანის მოქმედებით იქნება პროვოცი-რებული. ამჟამად მიმდინარე მშენებლობების წარმოების წესი ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო ინვესტიციების მოზიდვის საბაბით, საქართველოში ბიზნესის კეთების გამარტივებული წესის დანერგვის მიზეზით თვალს ხუჭავს ისეთ მოვლენებზე, როგო-რებიცაა: მწვანე ნარგავების პირწმინდად განადგურება, ბუნებრივი რესურსების უყაირათო ხარჯვა, ბუნებრივი რესურსების მოპოვება მოპოვების ადგილისა და მაშტაბების, მოსალოდნელი ცვლილებების წინასწარი გათვლის გარეშე.

ეს ვრცელი კომენტარი იმიტომ გავაკეთე, რომ წამკითხველისათვის გასაგები გახდეს ის შედეგი, რაც ბუნებისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ მოგვცა.

ლიხაურში „უჩინმაჩინი“ დადის?

სოფ.ლიხაურში რამდენიმე დღეა პანიკაა. აქაურები ამბობენ, რომ ღამით სოფელში უცნაურ ფორმაში გადაცმული რამდენიმე რაღაც არსება დადის და ხალხს აშინებს. მათ მღვდლის ანაფორის მსგავსი შესამოსი აცვიათ და სახეზე ნიღბები აქვთ აფარებული. „მოჩვენება,“ როგორც მათ აქაურები ეძახიან, სახლის ფანჯრებთან მიდის, ფანარს ანათებს და უცნაურ ცეკვას იწყებს.

იყო რამდენიმე შემთხვევა, „მოჩვენებას“ დასაჭერად დაედევნენ, მაგრამ იგი არაადამიანური სისწრაფით ღობეებს გადაევლო და თვალს მიეფრა.

–„ისეთი სისწრაფით მირბის, ადამიანი არ უნდა იყოს, ნამდვილად რაღაც „არამიწიერია,“–მოგვიყვა ერთი ძალიან შეშინებული ლიხაურელი. ასეთ „შეშინებულ“ სხვა ლიხაურლებსაც გავესაუბრეთ. ისინი ამბობენ, რომ სოფელში შიშია და შებნელების შემდეგ გარეთ გამოსვლას ერიდებიან.

–ასეთი „უჩინმაჩინი“ ჩემს ოჯახშიც იყო–დაგვიდასტურა ლიხაურელმა მზია ცეცხლაძემ.

ჯერ-ჯერობით თუ ვინ ასრულებს „უჩინმაჩინის“ როლს უცნობია, გარკვეული ეჭვები მაინც გამოითქმება.

დაბლა ვანისქედში ელექტროგადამცემი ხაზები სავალალო მდგომარეობაშია

ნუგზარ ოთარიშვილი



არჩევნების შემდეგ სოფ. მთისპირში, ერთ-ერთ ყველაზე დაშორებულ უბანში დაბლა ვანისქედში მოვხდი. სოფლის ეს უბანი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლების ჭაჭიეთისა და ბასილეთს შორისაა მოქცეული. აქაურები მას „დიხაშხოს“ ეძახიან, რადგან აქ „დიხაშხო“ მიწებია და კარგი მოსავალი იცის. ადრე ამ უბანს „ნიკოლაიშვილების უბანსაც“ ეძახდნენ, რადგან 16 ოჯახი ნიკოლაიშვილი ცხოვრობდა, მაგრამ უგზოობის და ცხოვრების ცუდი პირობების გამო ისინი სხვადასვა ადგილებში გადავიდნენ საცხოვრებლად. ამჟამად აქ ერთი „სტაჟიანი“ ოჯახი, 87 წლის მიშა ნიკოლაიშვილის ოჯახია, რომლებმაც არ უღალატეს მამა-პაპის კერიას. დანარჩენები ეკომიგრანტებია.

როგორც გვითხრეს, მათ ხელისუფლება ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. ცუდ დღეშია გზა, რომელზეც ავტოტრანსპორტს განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში უჭირს გავლა.

–არც დეპუტატობის კანდიდატი ნაციონალებიდან გვინახავს თვალად და არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები–გვითხრა მიშა ნიკოლაიშვილის მეუღლე ციალა ბუბუტეიშვილმა.

როგორც აქ მაცხოვრებელმა აჭარლებმა გვაჩვენეს, აქ ელექტროგადამცემი ხაზები ავარიულ მდგომარეობაშია. თითქმის ყველა ელექტროგადამცემი ბოძი წაქცევაზეა, ზოგ ადგილას თხემლა, აკაცია და სხვა მწვანე ნარგავებზეც გადის სადენები.

–ვიცით, „ენერგო პრო ჯორჯია“ გამრიცხველიანებას მოახდენს, მაგრამ ჩვენს სოფლამდე და შემდეგ ამ დაკარგულში მოსვლამდე დიდი დრო დააგვიანდებათ. იქნებ ამოვიდნენ და ამ ზამთრისათვის ყველაზე ავარიული ბოძები შეცვალონ–დაგვაბარეს სათხოვარი „ენერგო პრო ჯორჯიას“ოზურგეთის წარმომადგენლობასთან მთისპირლებმა.

თავლია ჯა საფრთხეს ქმნის

ქ. ოზურგეთში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ყოფილი სტამბის შენობის წინ ფეხით მოსიარულეთა ტროტუარზე, სადაც ასევე ავტომობილის გამოსავლელიცაა კავშირგაბმულობის თავღია ჭაა. გასულ კვირაში აქ მსუბუქი ავტომანქანა ჩავარდა წინა საბურავით და სამაშველოს სამსახურს დიდი ჯაფა დასჭირდა ავტომანქანის ამოსაყვანად. მსგავსი შემთხვევა გასულ პარასკევსაც განმეორდა. აქაური მაცხოვრებლები ამბობენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მხოლოდ ქ. ოზურგეთის ცენტრის კეთილმოწყობითაა დაინტერესებული და გარეუბნებზე არ ზრუნავს, თორემ ქალაქში ასეთი თავღია ჭები არ იქნებოდა!

ტრეფიკინგი
თავისუფლება სიცოცხლის ტოლფასია– მისი დაკარგვით ორთავე იკარგება

თემურ ბაქანიძე

არის ადამიანი, –ოზურგეთელი ქალბატონი, რომელმაც საბერძნეთში მალულად გადასვლაზე 4.000 ევრო გადაიხადა. დავართქვათ მას პირობითად „X.“ ეს ქალბატონი, თურქეთიდან საბერძნეთის საზღვრის გადაკვეთისთანავე, რამდენიმე კილომეტრში სხვა სამ ქალბატონთან ერთად დააკავეს „სამართალდამცავებმა-მესაზღვრეებმა და ოთხი დღის განმავლობაში ჰყავდათ ერთ ოთახში გამომწყვდეული. მისი მონაყოლი იმ ოთხდღიანი ცხოვრებისა:

„–არც პურს გვაძლევდნენ და არც წყალს. ტუალეტი ოთახის ერთ კუთხეში გვქონდა. ის დღეები იყო დაუვიწყარი საზიზღრობა ჩემი სიცოცხლისა. ოთხი დღის შემდეგ, პასპორტის გარეშე აღმოვჩნდით ათენში, სადაც ჩვენს თავისუფლებას და პატიოსნებას წერტილი დაესვა. არ შემიძლია დანამდვილებით ვთქვა ის ფორმიანი ხალხი, რომლებმაც ჩვენ დაგვაკავა და პასპორტები წაგვართვა, ნამდვილად მესაზღვრე-სამართალდამცავები იყვნენ, თუ გადაცმული ნაძირალები-ჩვენ, იქ ყველასათვის ადვილად ხელმისწვდომები ვიყავით. . .

სამი წელი ვმეძაობდი. ვიყავი სამყაროს მოწყვეტილი და სულიერად განადგურებული. შემდეგ გამოჩნდა ქართველი მამაკაცი - ნუკრი, რომელმაც მოვიპარა იმ ცხოვრებიდან და დამაბრუნა სამშობლოში...“

ეს ქალბატონი „X“, დაბრუნდა საქართველოში, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, მასთან ერთად კიდევ სამი ქალბატონი იყო!!!

როგორ ფიქრობთ, რამდენი ასეთი „სამი“არის დაკარგული და გაუბედურებული?!

ჩვენ დავუკავშირდით ათენში მცხოვრებ ნუკრის, რომელმაც დაადასტურა ყოველივე, რაც ამ ქალბატონმა მომითხრო. მომიყვა რა ხდება „ომონიაზე,“„აგიო კონსტანტინოს“ქუჩაზე, სადაც ამავე სახელწოდების ეკლესიაა.

ტრეფიკინგი საშინელებაა და მოურჩენელი სენი, მაგრამ თავისუფალი ადამიანების ყურადღება და ბრძოლა იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ართმევს ხალხს თავისუფლებას და მასთან ერთად სიცოცხლეს, ვფიქრობ ყველა ადამიანისა და ორგანიზაციის კეთილი ნებაა.

გახსოვდეთ!!! ტრეფიკინგის მსხვერპლი ყველა შეიძლება გახდეს!!!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატის თემურ სალუქვაძის მიმართვა საზოგადოებას

ლობიდან გამომდინარე აუცილებლად მიმაჩნია საზოგადოებამ გამოხატოს თავისი ნდობის ხარისხი და მოგვაწოდოს მოსაზრებები, წინადადებები,რაც მეც და ვფიქრობ კოალიციის სხვა წევრებსაც გაგვიწევს კარგ კონსულტაციას ფრაქციის ჩამოყალიბებასა თუ მისი შემადგენლობის განსაზღრის საკითხში. გთხოვთ, გამოხატოთ თქვენი მოსაზრებები, როგორც სოციალური ქსელის, ასევე სხვა არსებული კომუნიკაციის საშუალებებით.

ვფიქრობ აღნიშნული შეთავაზება გვაძლევს შესაძლებლობას ჩვენ მოსახლეობასთან ვიყოთ მუდმივ ურთიერთობაში, რაც ჩვენი ხელისუფლებისთვის არის ძალზედ მნიშვნელოვანი.

და ბოლოს, აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით კიდევ ერთხელ გამოვხატო დიდი პატივისცემა და მადლობა ვუთხრა, როგორც ოზურგეთის მოსახლეობას, ასევე დღეევანდელ უკვე დეპუტატს ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს, კოალიციაში შემავალ ყველა სუბიექტს და ყველა ჩვენს აქტივისტს ერთსულოვნებისათვის, ჭეშმარიტი თანამებრძოლეობისათვის.

პატივისცემით:
თემურ სალუქვაძე

შეიქმნება თუ არა კომისია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით

– მოვუწოდებ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებს, კომპეტენტურ ადამიანებს, შექმნან კომისია, რომელიც შეისწავლის ნაცმოძრაობის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულობებს მთელი ცხრა წლის განმავლობაში , ეს მიმართვა **ლელა ნაცვალაძემ** ჟურნალისტებთან შეხვედრისას გააკეთა. მანვე ურჩია კოალიციის ზოგიერთ ლიდერს, არასერიოზული განცხადებების გაკეთებისა და თანამდებობეისთვის ზრუნვის ნაცვლად, ამ კომისიაში გაერთიანდნენ, რადგან ახლა მსგავსი განცხადებების დრო არ არის და საზოგადოება და ხალხი სერიოზულ ცვლილებებს მოელის. ნაციონალური ფრაქციის დამტოვებელ დეპუტატებს კი მან ერთი ნავიდან მეორეში გადმომჯდარი უწოდა. ხოლო გოჩა გორდელაძემ მათ შეახსენა, გაეხსენებინათ ის საქმეები, რასაც ადგილი ჰქონდა მათი დეპუტატად არჩევის დროს.

შეიქმნება თუ არა საზოგადოებრივი კომისია, ამას დრო გვიჩვენებს.

აუცილებელი პრინციპულობა!

ნებისმიერი დაავადებისაგან თავის დასაღწევად ადამიანმა სამი აუცილებელი პირობა უნდა შეასრულოს: ა) მიმართოს ექიმს და გახდეს შესაბამისი დარგის სამკურნალო დაწესებულების პაციენტი, ბ) რეგულარულად და დროულად მიიღოს საჭირო პრეპარატები, გ) ზუსტად, კეთილსინდისიერად შეასრულოს ექიმის მიერ მიცემული რჩევა-დარიგებები არა მარტო მკურნალობის პერიოდში, არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე.

თუმცა არის ისეთი დაავადებებიც, რომელთაგან თავის დაღწევისათვის, ზემოაღნიშნულთა გარდა, კიდევ ერთი ისეთი აუცილებელი პირობაა გასათვალისწინებელი, როგორიცაა მტკიცე ნებისყოფა და პრინციპულობა.

ასეთი დაავადებები გახლავთ ნარკომანია, ალკოჰოლიზმი და ტოქსიკომანია, რომელთაგან თავის დასაღწევად ფსიქიატრიული და ნარკოლოგიური ცენტრის პაციენტებმა, სწორედ რომ საჭირო პრინციპულობა და ნებისყოფა უნდა გამოიჩინონ და აიძულონ საკუთარი თავი, რაც უნდა ძნელი იყოს, მაინც დაღწიონ თავი კატასტროფულ მდგომარეობას.

დიახ! დიდი სურვილის გარდა, ნარკომანმა, ალკოჰოლიკმა და ტოქსიკომანმა პაციენტებმა საჭირო ფსიქოლოგიური გავლენა უნდა მოახდინონ საკუთარ თავზე, რათა ცხოვრების ჩვეულებრივ, ნათელ გზას დაადგნენ.

როგორც ყველა სხვა შესაბამის სამკურნალო დაწესებულებებში, გურიის რეგიონულ ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის ცენტრშიაც, მისი ხელმძღვანელის ბატონი გია თავბერიძისა და სხვა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ძალისხმევით, მართლაც რომ ეფექტური ღონისძიებები ტარდება დაავადებულთა ხსნისათვის, რასაც საბედნიეროდ შესაბამისი დადებითი



შედეგები ახლავს ხოლმე.

ამიტომაც, მოვუწოდებთ ჩვენი ავტორიტეტული გაზეთის მკითხველებს, ყველაფერი ზემოაღნიშნული დამაჯერებლად აუხსნან ფართო საზოგადოებას და ხელი შეუწყონ მათში სათანადო პრინციპულობისა ნებისყოფის ჩანერგვას.

როლანდ თავაძე

გურიის რეგიონალური ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის ცენტრის პრესმდივანი

ურეკში ზღვამ გვამი გამორიყა

25 ოქტომბერს, ურეკში ზღვამ გვამი გამორიყა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამაშველო სამსახურები და პოლიცია 18 საათსა და 30 წუთზე გამოიძახეს.

დადგინდა, რომ დაღუპული პიროვნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ სუფსაში მცხოვრები, 55 წლის ეთერ კაპანაძეა.

სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ საქმე თვითმკვლელობასთან გვაქვს.

იყიდება
რუმინული ავეჯი „ბორკა“(ფრაგმენტი) ფასი შეთანხმებით.
დარეკეთ: (599) 11 50 84; (790)68 86 85 (18 საათის შემდეგ).

იყიდება
სასწრაფოდ მეორადი ხის მასალა ხელსაყრელ ფასებში
დაგვიკავშირდით: 558499 101

ქირავდება
საოფისე ფართი, სამი ოთახი (60 კვ.მ) ევრორემონტით, ქ. ოზურგეთის ცენტრში (ერისთავის ქ. №26), სტომატოლოგიური პოლიკლინიკის შენობაში. ასევე ქირავდება სხვადასხვა ფართები შენობის I და II სართულზე.
დაგვიკავშირდით: (599) 555 684.

ჯანსაღი ცხოვრების წესი

ნარკოტიკებს უწოდებენ ნებისმიერ ქიმიურად აქტიურ ნივთიერებას, რომელიც სპეციფიურ გავლენას ახდენს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ნარკოტიკებს იყენებენ იმ სასიამოვნო შეგრძნებების გამო, რომლებიც მიღებისთანავე იჩენს თავს: ადამიანი დგება კარგ ხასიათზე, აქვს სასიამოვნო შეგრძნებები, დადებითი ემოციები, ხდება უფრო აქტიური, არ გრძნობს დაღლილობას, აქვს ხილვები. ეს ეფექტები ე.წ. კაიფი, ხანმოკლეა და შემდეგ იწყება გამოსვლის ფაზა, რასაც შემდეგი მოვლენები აღენიშნება: გახშირებული ან შენელებული გულისცემა და სუნთქვა, მომატებული წნევა, ოფლიანობა, მომეტებული სხეულის ტემპერატურა, თავის ტკივილი, უძილობა, თავბრუსხვევა, გულისრევა, პირის სიმშრალე, ხელების



კანკალი, წონასწორობის დარღვევა. ნარკოტიკების მიჩვევა იწვევს შემდეგს: ძლიერი ტკივილები, უძილობა, ძლიერი გადაღლა, უსაფუძვლო შიშები და შფოთვა, უმადობა, კუჭნაწლავის აშლილობა, მხედველობითი და სმენითი ჰალუცინაციები, ნარკოტიკების მტანჯველი სურვილი. ნარკოტიკები ანგრევს ადამიანის ორგანიზმს: ტვინს და ნერვულ სისტემას, გულ-ღვიძლს, საჭმლის მომნელებელ სისტემას, ძვლის ტვინს, სასქესო ორგანოებს, იკარგება ცხოვრების ინტერესები, ექვემდებარები ნარკოტიკს. ამ დაავადებისაგან განთავისუფლება ძალიან ძნელია და იშვიათად, რომ ვინმემ შეძლოს. ხდება პიროვნების დეგრადაცია, შეიძლება განვითარდეს პარანოია, ფსიქოზი ნარკოტიკი ამცირებს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას: ნარკომანი კრიმინალურ გარემოცვაში ტრიალებს, მისი სიცოცხლე მუდამ საფრთხეშია, მაღალია აივ ინფიცირების რისკი, არსებობს ზედოზირების საშიშროება, რაც ძალიან ხშირად იწვევს სიკვდილს.!!!

გომისმთაზე, სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის

გურიის სამონადირეო ტურიზმის და ბაზიერთა კლუბის წევრები ამ დღეებში კურორტ გომისმთას ესტუმრნენ. მათი მიზანი იმ მარშრუტის გავლა იყო, რომლითაც მომავალში აქ ჩამოსული უცხოელი ტურისტები უნდა დაინტერესდნენ.

ღონისძიებაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან არსებული ა(ა)იპ-ის, რომელიც სამთო კურორტის განვითარებაზე მუშაობს, დირექტორის მოადგილე ზურაბ ჩხარტიშვილიც მონაწილეობდა.

ენვერ (ერმოგენ) კომახიძე:– გურიის სამონადირეო ტურიზმის და ბაზიერთა კლუბი რამდენიმე წელია გურიაში სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის მუშაობს. მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული და ჯერ-ჯერობით ამ თემაზე სამუშაოდ სპონსორი არ გამოჩნდა. ხელისუფლებამ არანაირი მხარდაჭერა არ გამოხატა ჩვენდამი. კურორტ გომისმთაზე და მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ნადირ-ფრინველი (დათვი, არჩვი, შურთხი, გნოლი, როჭო და ა.შ) წითელ წიგნშია შეტანილი და მათზე ნადირობა არ შეიძლება). ადრე დასახელებულთა გარდა აქ იყო ირემი, გარეული ღორი, ხოხობი. ამიტომ უნდა მოეწყოს სამონადირეო მეურნეობა, რაზედაც საჭიროა სპონსორი. ასეთი მეურნეობა გახდება ტურისტების მოწვევის ადგილი. მათ მომსახურებას გაუწევენ ჩვენი კლუბის გამოცდილი მონადირეები, ბაზიერები. კლუბს გვერდით უდგას კვალიფიციური ექიმი გია თავბერიძე.

ამჟამად გადავიღეთ ვიდეო და ფოტოკადრები. გვინდა მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე ლიფლეტის გამოცემა, სადაც კონკრეტული მარშრუტები იქნება აღწერილი.

მიხეილ სალაძის სახელობის ტურნირზე ოზურგეთელი მოჭიდავეების გასამგზავრებლად თანხები საკმარისი არ აღმოჩნდა

გაზეთი „ალიონი“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი შტაბი, რომელიც რამაზ ნიკოლაიშვილს საარჩევნო შტაბად იწოდებოდა, მუნიციპალიტეტში შემავალ ორგანიზაციებს ავალებდა მაქსიმალურად დაესაქმებიათ ის ადამიანები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს მიტინგებზე „მიშა, მიშას“ ძახილით და სხვა საარჩევნო დავალებებით. ამის გამო მთელი რიგი ორგანიზაციები თავკომბალებს დაემსგავსნენ და ფინანსურად სერიოზული პრობლემები შეექმნათ. ერთ-ერთი მათგანი ოზურგეთის სპორტსკოლა გახლავთ, სადაც წლის დასაწყისში არსებული შტატების რაოდენობა სექტემბრისათვის 25-დან 54-მდე გაიზარდა.

სასპორტო სკოლა, რომლის აღსაზრდელებს სერიოზული წარმატებები აქვს რეგიონალურ, რესპუბლიკურ პირველობებზე, საერთაშორისო ტურნირებზე, ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.

როგორც იცით, სასპორტო სკოლა ყველაზე კარგ შედეგს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში აღწევს, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებს უჭირავს. ამ დღეებში ამ სკოლის ბერძნულ-რომაულით მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი თბილისში გაემგზავრა, თუმცა ბიუჯეტს არ აღმოაჩნდა საშუალება დაეფინანსებინა მოჭიდავეთა თბილისში ყოფნისათვის საჭირო ხარჯები.

„მერცხალის“ ორი ფრე, შემდეგ მოგება

საქართველოს პირველობის I ლიგის ბ ზონის მე-7 და მე-8 ტურის მატჩებში ოზურგეთის „მერცხალმა“ ჯერ წალენჯიხაში ითამაშა ფრე, შემდეგ კი შინ გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან, ხობის „კოლხეთთანაც“ ნულოვან ფრეს დასჯერდა. 26-ში კი ხარაგოულში ადგილობრივ „ჩხერიმელას“შეხვდა. ხარაგოულშიც საფეხბურთო კრიზისია და „მერცხალს“არ გაჭირვებია მისი დიდი ანგარიშით (6:0) დამარცხება.

8 ტურის შემდეგ „მერცხალს“ 9 ქულით (2 მოგება, 3 ფრე, 4 წაგება) გათამაშების ცხრილში ჯერ-ჯერობით 11 გუნდს შორის მე-10 ადგილი

„არწივებმა“ კვლავ წარმატებას მიაღწიეს

ოზურგეთის „არწივებმა“ მორიგ კალენდარულ მატჩში „მარტვილს“უმასპინძლეს და დიდი ანგარიშით 35-16 დაამარცხეს. მართალია გასული ჩემპიონატის გასვლითი შეხვედრა მეგრელ მორაგბეებთან ჩხუბით დასრულდა, მაგრამ ამჯერად ოზურგეთლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ „სამაგიერო“ გულთბილი შეხვედრით და კორექტული თამაშით გადაეხადათ. მომდევნო მატჩებში „არწივები“ფოთის „კოლხ რაინდებს“და ბათუმის „დელფინებს“ უნდა შეხვდნენ და გამარჯვების შემთხვევაში ამ ეტაპზე II ადგილზე გავლენ.

ოზურგეთელი მორაგბეებიდან კარგი თამაში აჩვენეს თორნიკე გოროზიამ, ბექა გოლიაძემ, ბორის ჯაბუამ და გოჩა კალანდაძემ.

ფედერაციის თასის გათამაშებაზე

ქ. თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდა მძლეოსნობის ფედერაციის პირად-გუნდური თასის გათამაშება, რომელსიც ოზურგეთის მძლეოსანთა ნაკრები გუნდი მონაწილეობდა. ოზურგეთლებმა II ლიგის გუნდებს შორის II ადგილი და თასი მოიპოვა.

წარმატებით იასპარეზეს:

ნიკა კარტაცევმა 200. მ-ზე რბენაში III ადგილი დაიკავა;

შოთა ზოიძემ 400 მ-ზე რბენაში III ადგილი, 4X100-ზე II ადგილი დაიკავა;

სოფო შათირიშვილმა ბირთვის კვრაში II ადგილი, ხოლო მარი კეკელიძემ III ადგილი დაიკავა;

ზურა რუსიეშვილმა შუბის ტყორცნაში II ადგილი დაიკავა;.

დიდებთან ერთად ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობდნენ 1998-99 წლებში დაბადებული გოგონები და ვაჟები. წარმატებით იასპარეზეს:

ანა მუჯირმა და ელენე ტოლსტოვამ სიგრძეზე ხტომაში შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს;

მანუკა პაველიანმა ბირთვის კვრაში I ადგილი, ხოლო ბადროს ტყორცნაში III ადგილი დაიკავა.

ოზურგეთის მძლეოსანთა გუნდი მარინე კოტრიკაძემ მოამზადა. მან გაზეთ „ალიონთან“ საუბარში აღნიშნა, რო საქართველოს მძლეოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ალექსანდრე ახვლედიანი) ელენე ტოლსტოვა ჩართო 2015 წლის მინი ოლიმპიადის მოსამზადებელ საწვრთნელ შეკრებებში.

ციური ჩხიკვაძის გახსენება

ოცდაცხრა ოქტომბერი იყო მაშინაც. გემოვნებითა და ლამაზად მოწყობილ სახლში, ასევე ლამაზად გაწყობილ სუფრას მასპინძლობდა. მის დაღლილ სახეს სიკეთით სავსე ღიმილი ჰფენოდა. ღიმილიან თვალებს მიღმა კი დარდი და სევდა ჩამკვიდრებულიყო. მაშინ ეს სუფრაც და ეს დარდიანი ღიმილიც ციურის ეკუთვნოდა. ოცდაცხრა ოქტომბერი მისი დაბადების დღეა. უმძიმეს ოპერაციაგადატანილი ცდილობდა სხვათათვის გაექარვებინა შიში – შიში უმისობისა. ძალად მოხმობილი იმედიც იყო ირგვლივ, რადგან არავის ემეტებოდა საიმისოდ. ამ შიშმა და იმედმა ორ თვეს გასტანა მხოლოდ.

ერთი წელი გავიდა იმ დაბადების დღიდან. ახლაც ოცდაცხრა ოქტომბერია. ოღონდ ყვავილებით დაფარული საფლავი, მისი მომღიმარი სურათი, და ის კეთილნაღვაწი საქმეები დარჩა, რომლებიც სიცოცხლეშივე მოასწრო. მაშინ ვერავინ ამჩნევდა, როგორ ჩქარობდა, მეტი ჩაეწერა ამ საქმეთა ნუსხაში. ახლა ეს ყველაფერი ცხადად დასანახია. ჩვენგან წავიდა და მისი საწილო სითბო წაიღო, მისგან ნაწილადევი კი დაგვიტოვა.

დარდგაუქრობელია და ცრემლებშეუშრობელი თვალები მისი საყვარელი დების ლიასი და ნელის, ნატვრამოძალებულია ცქერა მისი უსაყვარლესი შვილის მარიამის, რომელსაც ჯერ კიდევ პატარას ერგო განსაცდელი და ტკივილი უსაყვარლეს გამზრდელ დედასთან განშორებისა. იგი ახლა დეიდისა და ნათლიის სიყვარულში ეძებს დაკარგულ სითბოს. მათთვისაც დარდის შემსუბუქებას ცდილობს.

დიდი სინანული და ცრემლიანი მოგონებები დარჩა ყველას, ვინც ციური ჩხიკვაძეს იცნობდა და მისი სახით, ღირსეული ახლობლის, მეგობრისა და მეზობლის, ან თუნდაც უბრალოდ, უსაზღვროდ კეთილი ადამიანის ფასი იცოდა.

– არაფერი ავსებს ამქვეყნიურ სიცარიელეს, როცა ჩვენგან მიდიან უახლოესი ადამიანები. საშველი მხოლოდ იმქვეყნიურ ცხონებაშია, ამქვეყნიური ცხოვრებით რომ დაიმკვიდრებს ადამიანი. ციურიმ თავისი ცხოვრებით ეს შესძლო,– გვახსენდება ციურის მოძღვრის მამა ბასილის (კვირჩილაძე) სევდიანი სიტყვები მისი სულიერი შვილის საამქვეყნიო და საიმქვეყნიო გზასაყართან. სადამდეც მოყვასის სიყვარულით მივიდა მხოლოდ.

ნუგზარ ასათიანი; ნინო ნიკოლაიშვილი; გელა ახვლედიანის ოჯახი.

ვახტანგ მამულაიშვილი



82 წლის ასაკში გარდაიცვალა სოფელ ბაილეთის ერთ-ერთი წარჩინებული პიროვნება ვახტანგ მამულაიშვილი.

იგი არასრული საშუალო განათლების მიღებისა და სამხედრო-სავალდებულო სამსახურის პირნათლად მოხდის შემდეგ მუხლჩაუხრელად შრომობდა კოლმეურნეობაში. იყო მოწინავე კოლმეურნე-მესიმინდე, მეციტრუსე.

ბატონმა ვახტანგიმ თავის მეუღლესთან, ქალბატონ ლამარასთან ერთად შექმნა შესანიშნავი ოჯახი, აღზარდა ღირსეული შვილები, რომლებიც დაოჯახებულნი, დასაქმებულნი არიან და ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში.

ღირსეული მამის, მეუღლეს და მეზობლის ვახტანგ მამულაიშვილის სახელი დიდხანს დარჩება ჩვენს შორის.

მეზობლები.

მედეა ჯანელიძე ოჯახით იუწყება ოზურგეთის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის **ვაჟა ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჟურნალისტ **ლილი გოლიაძეს** მეუღლის, ვაჟა ნიკოლაიშვილის გარდაცვალების გამო.

შპს სასტუმრო „გურიას“კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა სასტუმროს ყოფილი თანამშრომელი, II მსოფლიო ომის ვეტერანი, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი **ზინაიდა მარკოზის ასული გვაზავა-ბედინეიშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

აზა კალანდაძე, მანანა ჯაყელი, ციალა გობრონიძე, მერი ძნელაძე, ცაცო, გურამ მუჯირები თანაუგრძნობენ დოდო ყიფიანს შვილის **აპაკი აბაშიძის** გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები ეთერ ქადეიშვილი, გულსუნდა მახარაძე, გულიკო ლომინაძე, ნინელი კალანდაძე, ნინო სალუქვაძე, ნუგზარ ასათიანი თანაუგრძნობენ დოდო ყიფიანს შვილის **აპაკი აბაშიძის** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru